

## “C“ წარმოადგენს ჩვენთვის პროგრამას <sup>1</sup>

### ფოლკერ კაუდერი

ბიბლიაში პოლიტიკისთვის სამოქმედო ინსტრუქციები არ მოიპოვება. თუმცა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ<sup>2</sup> პრაქტიკული გადაწყვეტილებების ლაიტმოტივს წარმოადგენს. მასში ერთმანეთთანაა დაკავშირებული ადამიანის თავისუფლებისადმი რწმენა და ღიდი იდეოლოგიური პროექტებისადმი სკეპტიციზმი.

მუდმივად მიმდინარეობს დავა იმის შესახებ თუ რამდენად მიზანშეწონილია ასო „ჩ“-ს არსებობა ქრისტიან-დემოკრატიული მრწამსის პარტიების სახელწოდებაში<sup>3</sup> და რამდენად იმსახურებენ ისინი ამას. ასევე ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია მათი დამოკიდებულება ქრისტიანულ ეკლესიასთან. ეს დისკუსია დაახლოებით იმდენივე ხნისაა, რამდენისაც თავად ქრისტიან-დემოკრატიული ან ქრისტიან-სოციალური კავშირები. ხშირ შემთხვევაში მას საფუძვლად უდევს გაურკვევლობა, თუ რაში მდგომარეობს იმ პოლიტიკური მიმდინარეობის არსში გაურკვევლობა უდევს, რომელსაც ქრისტიან-დემოკრატიულს უწოდებენ. ქრისტიან-დემოკრატიული პარტია არ წარმოადგენს არც ეკლესიებისა და არც ქრისტიანების პარტიას. ის არათუ არ გამორიცხავს საკუთარ რიგებში სხვა კონფესიების მიმდევრებისა თუ ათეისტების ყოფნას, არამედ, პირიქით, იწვევს კიდევ მათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად. რადგან, რამდენადაც ნაკლებად გამომდინარეობს ბიბლიიდან პარტიული პროგრამა, იმდენად ნაკლებადაა შესაძლებელი ქრისტიანული მოძღვრებიდან კონკრეტული პარტიულ-პოლიტიკური სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამაგიეროდ, ქრისტიანობა გვჩუქნის ქრისტიანობის შეხედულებებს ადამიანის შესახებ, როგორც ქრისტიან-დემოკრატიული პოლიტიკის საფუძველს.

ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ ყალიბდება შემოქმედებით უნარსა და შემოქმედებითობას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე. ბიბლიის თანახმად, ადამიანი შექმნილია „ხატად ღვთისა“. ღმერთისადმი მსგავსების წყალობით, ის დაჯილდოებულია ადამიანური ღირსებით და ღმერთის შემოქმედებითი საქმიანობის მოზიარება. ადამიანი, როგორც ამას ახალ აღთქმაში ვხვდებით, პირველ რიგში, „მოწოდებულია თავისუფლებისთვის“, როგორც ამას ვხვდებით ახალ აღთქმაში, რათა, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნას ერთობა ღმერთთან. მსგავსი თავისუფლების გარეშე ადამიანი ვერ შეძლებდა ღმერთის სიყვარულის ჭეშმარიტად გაცნობიერებას. ამ გადაწყვეტილების წინაპირობას ღმერთისთვის წარმოადგენს ადამიანის მორალური ნიჭი, მისი უნარი, განასხვავოს კეთილი ბოროტისაგან.

<sup>1</sup> C – Christlich (ქრისტიანული) – გერმანული ქრისტიან-დემოკრატიული მრწამსის პარტიების სახელწოდებებში ასო C აღნიშნავს სიტყვა „ქრისტიანულს“

<sup>2</sup> გერმანულად: „Christliches Menschenbild“ – აღნიშნავს ადამიანის ქრისტიანულ ანთროპოლოგიას, ადამიანის წარმოშობის და განვითარების ქრისტიანულ შეხედულებებს. თარგმანში გამოყენებული იქნება შემდეგი ტერმინები: ქრისტიანული რელიგიის შეხედულებები ადამიანის ბუნების შესახებ / ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ

<sup>3</sup> გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა სპექტრში ორი ძირითადი ქრისტიანული მრწამსის მატარებელი პარტია არსებობს: ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (Christlich Demokratische Union) და ქრისტიან-სოციალური კავშირი (Christlich-Soziale Union)

აქედან გამომდინარეობს პასუხისმგებლობა, რომლის გარეშეც თავისუფლება წარმოუდგენელია.

თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის კონფლიქტი კარგად აქვს აღწერილი მარტინ ლუთერს თავის ცნობილ ეპისტოლეში: „ქრისტიანი ადამიანი არის ყველა მოვლენისა და ნივთის თავისუფალი ბატონ-პატრონი და არავის ემორჩილება. არავის. ქრისტიანი ადამიანი არის ყველა მოვლენის მსახური ყმა და ექვემდებარება ყველას“. საკუთარი პასუხისმგებლობით განხორციელებული ეთიკური ქცევის უმნიშვნელოვანესი საორიენტაციო მასშტაბი, რომელსაც მარტინ ლუთერი ერთგული ყმის სურათით აღწერს, პიროვნების ხელშეუვალი ადამიანური ღირსებაა, რამეთუ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჰგავდეს ღმერთს, განურჩევლად მისი ასაკისა, სქესისა, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობისა. ეს მსგავსება, როგორც ღვთის საჩუქარი, შეუზღუდავად მოქმედებს ადამიანური ცხოვრების დასაწყისიდან მის დასასრულამდე. ის წარმოადგენს თვითმიზანს და კრძალავს ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ განშტოებას. ვერც ერთი ადამიანი ვერ შეათანხმებს ამას მეორესთან და ვერც მიანიჭებს მას, რამეთუ ნებისმიერი ადამიანი არის ღვთის მსგავსი, მაგრამ არა მისი იდენტური. ამასთან, ადამიანი არის დეფიციტური და შერაცხადი.

ადამიანის ასეთი სურათი იმის რწმენას როდი იძლევა, რომ ადამიანს თავისუფლებაში ცხოვრების უნარი აქვს და არც იმას ნიშნავს, რომ ის საკუთარ თავისუფლებას ყოველთვის ყველას საკეთილდღეოდ გამოიყენებს.

როგორ ითარგმნა ეს პოლიტიკის ენაზე? უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებზე ორიენტირებული პოლიტიკის წყალობით უნდა შეიქმნას საზღვრები, რომლებიც შესაძლებელს გახდის თავისუფლების პირობებში ღირსეულ ცხოვრებას ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენების გარეშე. რამეთუ თითოეული ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების საზღვრები მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის თავისუფლება. ადამიანის ნაკლოვანებათა გამო, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ვარაუდი, თითქოს საზღვრების ავტომატურად, თითოეული ინდივიდის თვითშეზღუდვით დაწესება შეიძლებოდა. ამისათვის აუცილებელია სახელმწიფო მართლწესრიგი, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის პირობებში ხდის შესაძლებელს სხვებთან გაერთიანებას. ამიტომ, თანამედროვე სახელმწიფოში თავისუფლებაში აუცილებლად მხოლოდ მართლწესრიგით უზრუნველყოფილი თავისუფლება მოიაზრება.

მართლწესრიგის საზღვრები, რომლებიც პიროვნებასა და გაერთიანებას შორის არსებულ კონფლიქტურ ურთიერთობას უნდა გაუმკლავდეს, კათოლიკური სოციალური დოქტრინის ორი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის - სუბსიდიურობისა და სოლიდარობის საფუძველზე წარმოიშობა. სუბსიდიურობის პრინციპის არსი გარკვევითაა ჩამოყალიბებული პაპის 1931 წლის მოძღვრებაში „Quadragesimo anno“: „დაუშვებელია ადამიანისათვის იმის ჩამორთმევა და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის გადაცემა, რის შესრულებაც ადამიანს საკუთარი ძალებით და საკუთარი სურვილით შეუძლია“. ანუ, ასეთი გაგებით, სუბსიდიურობა წარმოადგენს თავისუფალი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ცხოვრების დამცავ პრინციპს კოლექტიური ზედამხედველობისა და მეურვეობის საფრთხის წინააღმდეგ. ის, იმავდროულად, ინდივიდუალური თავისუფლების მომხრეა, რადგან სწამს ადამიანის თავისუფლებაში ცხოვრების უნარის და დიდი იდეოლოგიური პროექტების წინააღმდეგა. ამასთან, ადამიანის ნაკლოვანება განაპირობებს ხარვეზებს პოლიტიკაშიც,

რომელიც ასევე წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის საგანს. ადამიანური ნაკლოვანებების განჭვრეტა ტოტალური ცდუნებებისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალება.

სუბსიდიურობის პრინციპის მკაცრად დაცვა საზოგადოების ლიბერალურ წყობას აძლიერებს. ის, საუკეთესო გაგებით, სამოქალაქო საზოგადოების წინაპირობას წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკავშირებულია სოლიდარობის გრძნობასთან იმათთვისაა დაკავშირებული, ვისაც საკუთარი ძალებით, დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი არ შესწევთ. სოლიდარობაც გამოდინარეობს სხვებთან ერთად გაერთიანებაში ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით მოწყობის პრინციპიდან გამომდინარეობს. ამასთან, სოლიდარული ქცევის მიზანი არ შეიძლება გასაჭირში ხანგრძლივი ვადით ცხოვრება იყოს. უფრო მეტად საქმე გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის თავისუფლებითა და საკუთარი პასუხისმგებლობით აღსავსე ცხოვრებისკენ შემობრუნებას უნდა ეხებოდეს.

მასასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანია მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომელიც ეფუძნება სუბსიდიურობას, უზრუნველყოფს სოლიდარობას და ამის შედეგად ნებისმიერ ადამიანს საკუთარი ნიჭის შესაბამისად, საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულ თავისუფლებაში ცხოვრების საშუალებას აძლევს. ასეთი საზოგადოებრივი წყობის მიღწევა და დაცვა ქრისტიანულ-დემოკრატიული პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

შესაბამისად, ქრისტიან-დემოკრატიულ სოციალურ პოლიტიკაში შრომის ბაზრის გააქტიურებას ცენტრალური ადგილი უკავია. რამეთუ, ჯერ ერთი, ყოველი პიროვნება საკუთარი შრომით იქმნის თვითგამორკვეული თავისუფალი ცხოვრების წინაპირობას, ვინაიდან ის აღარ არის დამოკიდებული სხვათა დახმარებაზე. ეს პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ ადამიანს დაბალანაზღაურებიანი სამუშაო აქვს და დამატებით, სახელმწიფოს დახმარებაზეა დამოკიდებული, რადგან ამ შემთხვევაშიც ის მის მიერვე გამოუმუშავებული თანხით უწევს შეღავათს სოლიდარულ საზოგადოებას და საკუთარი საქმიანობით მორალურ და ზნეობრივ ვალდებულებასაც ასრულებს. იმავდროულად, შესრულებული სამუშაოს წყალობით ადამიანს თვითდამკვიდრებისა და ისეთი საქმის კეთების საშუალებაც ეძლევა, რაც მას ყველა სახის სახელმწიფო დახმარებისგან დამოუკიდებელს გახდის. ყველა შესაძლო ციფრი და მონაცემი იმაზე მეტყველებს, რომ სამუშაო ადგილების შექმნაზე ორიენტირებულ პოლიტიკას საუკეთესო სოციალური შედეგები მოაქვს. ამის უახლესი მაგალითია მე-3 ანგარიში სიღარიბისა და სიმდიდრის შესახებ, რომლის თანახმადაც დასაქმებულთა შორის სიღარიბის რისკი 6%-ს, ხოლო უმუშევართა შორის 50%-ს შეადგენს. ამიტომაც კვლავაც მართებულია თავად ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გამონათქვამი: „სოციალური ნიშნავს სამუშაო ადგილების შექმნას“, „სოციალურია, რაც სამუშაო ადგილებს ქმნის.“ სოციალ-დემოკრატებისა და პროფკავშირების მიერ, სამუშაოს ეთიკური ფასეულობის შეფასებისას „კარგი სამუშაოს“ გაუგებარი ცნებით შემოფარგვლი მცდელობა იმის უშედეგო მტკიცების ტიპიური მაგალითია, თითქოს მათ უმუშევრობით შეჭირვებულ ადამიანზე უკეთ იციან თუ რა არის მისთვის უკეთესი. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს სხვა არაფერია, თუ არა სამუშაოსთვის დაბრკოლებების შექმნა. ფაქტობრივად, ყოველდღიური სამუშაო ცხოვრებიდან გარიყული ადამიანები სოციალური დახმარებებით კმაყოფილდებიან, თუმცა ღირსეული და თავისუფალი ცხოვრების წარმართვის შანსი ერთმევათ.

ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებზე ორიენტირებული პოლიტიკა სოციალური დახმარების აუცილებლობას, როგორც სოლიდარობის ერთგვარ აქტს, კითხვის ნიშნის ქვეშ როდი აყენებს. მისთვის მხოლოდ მსგავსი დახმარებების ხანგრძლივი დროის მანძილზე გაწევაა მიუღებელი, რადგან ის პიროვნების პასიურობას იწვევს. ასეთი დახმარებები აუცილებლად მოთხოვნილებების შესაბამისი უნდა იყოს. ეს სოლიდარობას ითხოვს გასაჭირში მყოფი სუბიექტისაგანაც კი, რომელმაც დახმარება მისგან რაც შეიძლება სწრაფად თავის დაღწევის სტიმულად უნდა აღიქვას.

ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი განათლებაა. ენიჭება განათლებას. ის მოთხოვნილებებით აღსავსე საქმიანობის განხორციელების წინაპირობას და ინდივიდუალური წინსვლის შესაძლებლობებს ქმნის. ამიტომაც ვერ შევეგუებით განათლების მიღების შესაძლებლობის სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებას. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ისეთი განათლების სისტემის შესაქმნელად, რომელიც ყველას თანაბარ შანსებს მისცემს. ამის წარმატებით განხორციელება კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში შევიცნობთ ნაკლოვანებებს და მათ ინდივიდუალური ხელშეწყობით შევამცირობთ, ანდა საერთოდ დაეძლევათ. ოღონდ, ამასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მივალწევთ თუ განათლებას მხოლოდ ცხოვრების პირველი მესამედით არ შემოვფარგლავთ.

პროფესიული გადამზადება, როგორც დასაქმების სამომავლო პერსპექტივაში საუკეთესო დახმარება, ყველას უნდა შეეხოს. თუმცა მემარცხენე სპექტრის პარტიებისგან განსხვავებით, ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ განათლების პოლიტიკის წყალობით ინდივიდებს შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრა შეიძლება. მსგავსი სახის პოლიტიკა ასევე ეწინააღმდეგება ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებს, რომელიც ინდივიდუალური მრავალფეროვნების ხელშეწყობისკენ მოგვიწოდებს.

ჭეშმარიტი განათლება, რომელიც უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ უმაღლესი განათლება, ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებიდან უნდა ამოდიოდეს.<sup>4</sup> ის თითოეულ ინდივიდს იმ სულიერ და კულტურულ სივრცეს უხსნის, რომელიც აყალიბებს და შეუცვლელს ხდის ადამიანთა ბუნებას. სწორედ განათლება აჯილდოებს ადამიანს განსჯის დახვეწის უნარით, რაც მისი თავისუფალი ცხოვრების წინაპირობაა. განათლების ყოვლისმომცველი ცნება გამორიცხავს ეკონომიკურად გამოსადეგ შინაარსზე კონცენტრაციას. „მაკბეტის“ წაკითხვის მიზანი მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების კი არა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ტირანიის უკეთ გაცნობიერებაცაა, რათა სკოლის მოსწავლეები ეზიარონ ჩვენი ცივილიზაციის კულტურულ წანამძღვრებს, დაკავდნენ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებით და, უწინარეს ყოვლისა, სხვებისთვის რწმენის გამოცდილების გაზიარება შეძლონ. ჩვენ, სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, აქტიურად ვუჭერთ მხარს სკოლაში რელიგიის სწავლებას. მხარს ვუჭერთ ამას იმ შემთხვევაშიც კი თუ სახელმწიფოს მიერ რელიგიური სწავლება სხვა დისციპლინებითაა ჩანაცვლებული.

განათლება არ წარმოადგენს მხოლოდ სკოლებისა და უნივერსიტეტების კომპეტენციას. შეუცვლელია ოჯახის როლი, რომელიც ქრისტიან-დემოკრატიული პოლიტიკის ცენტრში

<sup>4</sup> გერმანიაში გავრცელებული მოსაზრებით, განათლება ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ფაქტების შესწავლაზე, არამედ ბავშვის სულიერ და ზნეობრივ აღზდაზე, რომლის საფუძველსაც ადამიანის ქრისტიანული ბუნება უნდა წარმოადგენდეს.

დგას. ოჯახი საზოგადოების ხერხემალი, სიცოცხლისუნარიანი სუბსიდიურობისა და სოლიდარობის იდეალური მოდელი და საზოგადოებისათვის მისაღები ფასეულობების მიწოდება-გაზიარების ადგილია. არც ერთი სხვა ინსტიტუტი არ იძლევა ადრეული ასაკიდან ორმხრივი პატივისცემის, ყურადღებისა და პასუხისმგებლობის ისეთ აუცილებელ ცოდნას, როგორც ოჯახი. ამიტომაცაა ოჯახი იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე შვილების ყოლის გამო შექმნილი ერთობა. უერთფერო პასუხისმგებლობის გარეშე შეიძლება, ვთქვათ, თემი ან მუნიციპალიტეტი არსებობდეს, მაგრამ ოჯახი ვერ იარსებებს. სიყვარულსა და ურთიერთგაგებას, რასაც ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან შეიგრძნობს ადამიანი და რაც ძალიან უწყობს ხელს მისი პიროვნების ჩამოყალიბებას, ვერანაირი სახელმწიფო ინსტიტუტით ვერ შეიცვლება.

მრავალი ინოვაციური წამოწყებისა და ახალი იდეებისადმი პატივისცემისდა მიუხედავად, ქრისტიან-დემოკრატიული საოჯახო პოლიტიკა ქორწინებას პარტნიორული თანაცხოვრების სხვა მოდელებს არასდროს გაუთანაბრებს. რამეთუ ქორწინებით აღებული ერთგულებისა და ორმხრივი მზრუნველობის ვალდებულებები ადამიანური თანაცხოვრების ყველაზე სტაბილური საფუძველია და მრავალი სირთულისდა მიუხედავადაც მოქმედებს.

აქედან გამომდინარე, ოჯახის დაცვა ქრისტიან-დემოკრატიული საოჯახო პოლიტიკის უპირველეს ვალდებულებაა. მასში, სხვასთან ერთად, პოლიტიკური ჩარევის თავიდან აცილებაც მოიაზრება. ბრალდება, რომელიც დღეს ხშირად ისმის, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ჩამოყალიბების თითქოსდა სოციალ-დემოკრატიული იდეების კოპირებას უკავშირდება. სინამდვილეში კი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სუსტი დემოკრატიული პროგრამატიკის სხვა მიმდინარეობა: ჩვენ ვგულისხმობთ არა ცხოვრების გარკვეული მოდელის გაწერას (ამ შემთხვევაში ისეთი ოჯახის არსებობას, რომელშიც ორივე მშობელს აქვს შემოსავალი), არამედ დედებისა და მამების შესაძლებლობების გაფართოებას მათი ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმართ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის სრული დაცვით. ჩვენი მიზანია არჩევანის ჭეშმარიტი თავისუფლება, რათა ბავშვების შინ მოვლას ჩვენი ისეთივე მხარდაჭერა ჰქონდეს, როგორც ეს ბაგა-ბაღების საკითხში მოხდა და რაც აუცილებლად საჯარო აღიარებასა და პატივისცემაში უნდა გამოიხატოს.

ქრისტიანობის შეხედულებები ადამიანის შესახებ საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებსაც (თუ, რა თქმა უნდა, საკითხისადმი ასე მიდგომას სერიოზულად აღვიქვამთ) განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკა ყოველთვის სახელმწიფო ინტერესებთანაა დაკავშირებული. თუმცა ის მხოლოდ ინტერესებით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ ადამიანური ღირსების უნივერსალურობაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოსაზრება, თითქოსდა ადამიანი აღჭურვილია გაუსხვისებელი, ხელშეუვალი უფლებებით, დღესდღეობით რელიგიურ ფესვებს მოწყვეტილია. მოხდა მისი სეკულარიზაცია, რაც ადამიანის უფლებათა ფართო აღიარებასთან ერთად, თუნდაც მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებისთვის უდიდესი წამატებაა.

თუმცა რელიგიური ფესვებისგან მოწყვეტა გარკვეულ საფრთხეებთანაცაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ სახეზეა ეთნოცენტრიზმის ბრალდება და ადამიანის უნივერსალური უფლებების, როგორც დასავლური კონცეფციის დისკრედიტაციის მცდელობა. ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნა ხშირად კულტურულ თავისებურებების საბაბითაა უარყოფილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოში დიქტატორული რეჟიმები ყოველთვის ცდილობენ დასავლეთის ქვეყნების ადამიანის

უფლებათა პოლიტიკის, როგორც კოლონიალიზმის დისკრედიტირებას. სწორედ ამ ბრალდების საშუალებით იცავს თავს, მაგალითად, კუბის რეჟიმი დასავლეთის კრიტიკისგან. იმავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული დასავლეთის მიერ შეთავაზებულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე ბირმის სამხედრო რეჟიმის უარყოფითი რეაქციაც. ქრისტიანულ რწმენასთან სრულიად შეუთავსებელია წარმოდგენა, თითქოს ადამიანის უფლებები კულტურულ ფაქტორებზეა დამოკიდებული და ყველა ადამიანზე თანაბრად ვერ გავრცელდება. მსგავსი წარმოდგენა არც ასეთი ქვეყნების ჩაგრული მოსახლეობის მოთხოვნებიდან შეესაბამება, რისი უტყუარი დასტურიც თავისუფლებისთვის მებრძოლი და ასევე პრესისა და სიტყვის თავისუფლების, დიქტატორული თვითნებობისა და ადამიანური ღირსების აყრის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში მიმდინარე დისიდენტების დაუღალავი ბრძოლაა.

ადამიანის უფლებების უნივერსალურობის თუნდაც მცირედი უგულებელყოფაც კი შეიძლება, საგარეო პოლიტიკის სერიოზულ ნაკლად ჩაითვალოს. მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მედარცხენე ინტელექტუალები, რომლებიც დასავლეთში ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობის კომფორტით ტკბებიან, უეცრად ჩე გევარასა და ფიდელ კასტროს მომხრეებად მოგვევლინენ. (ბიძო, აქ ლოგიკა ნაკლებად ან სულაც ვერ დავინახე! ან იქნებ, ამ აბზაცის პირველი წინადადება მთლად სწორად ვერ გავივე? – ვაგა) მესამე ქვეყნების რევოლუციონერთა განმათავისუფლებელი რიტორიკა საკმარისი აღმოჩნდა მთავარ დემოკრატიულ ღირებულებებზე უარის სათქმელად. გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურობის მოთხოვნის პოლიტიკის გაგრძელებაა. ეს ერთნაირად ეხება ისლამურ სამყაროსა და განვითარებად ქვეყნებსაც, რომელთაც ქვეყნის მოდერნიზაციის ავტორიტარული გზა აიჩიეს. ქრისტიან-დემოკრატიული მრწამსის პარტიები უარს აცხადებენ, მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერ ისტორიულ დამთხვევასა თუ დასავლეთის პრივილეგიას მიაწერონ დასავლეთში გაბატონებული თავისუფლება. სწორედ ამით აიხსნება ჩინეთის მიმართ ჩვენი დამოკიდებულებაც. ჩვენ ვაცნობიერებთ ჩინეთის ხელისუფლების წინგადადგმულ ნაბიჯებს მათი უზარმაზარი ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობის საქმეში და მხარს ვუჭერთ მას ამ გზაზე. თუმცა, იმავდროულად, სწორედ ჩინეთისადმი უდიდესი ინტერესის გამოა აუცილებელი ამ ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების დაცვა. სწორედ ამით იყო მოტივირებული ჩინეთში ვიზიტის დროს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების ნიშნად შანჰაის კათოლიკე ეპისკოპოსთან შეხვედრა.

ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებების საფუძველზე, ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა იმის ნათელი წარმოდგენა ჩამოაყალიბა თუ რისი მიღწევა სურს საგარეო პოლიტიკური მიმართულებით. ამასთან, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ადამიანური შესაძლებლობების შეზღუდულ ხასიათს და უარს ვამბობთ დემაგოგიური პოლიტიკური დაპირებების გაცემაზე. მანამ, სანამ არსებობს არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის, მუქარები და საფრთხეები ჩვენი სინამდვილის ნაწილად რჩება. საკუთარი პოლიტიკის საფუძვლების განსასაზღვრად ფასეულობები ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა მხოლოდ ისინი როდი უნდა განსაზღვრავდნენ საგარეო პოლიტიკას. მიაბიტი იდეალიზმი, რომელსაც არ სურს ადამიანური ბუნებისა და, შესაბამისად, პოლიტიკური სინამდვილის აღიარება, მხოლოდ შეაფერხებს ამ იდეალების განხორციელებას.

ჩვენი მოდელი განმსჭვალულია ღრმა სკეპტიკური დამოკიდებულებითაა გამსჭვალული ისეთი სახის პოლიტიკის მიმართ, რომელიც აღმერთებს რაციონალობას და მის

ყოველისშემძლეობას ქადაგებს. ყველაფრის კეთება მორალურად არ არის გამართლებული. იგივე ითქმის სამყაროსადმი ჩვენს დამოკიდებულებაზეც. ჩვენი ეკოლოგიური მოსაზრებები ორიენტირებულია სამყაროს შენარჩუნებაზე. ჩვენ ამგვარად ვცდილობთ ლეგიტიმაციის მიღწევას. ჩვენ პოლიტიკურ მოდას კი არ მივდევთ, არამედ ეკოლოგიურ პოლიტიკას მის ქრისტიანულ-დემოკრატიული არსს ვუბრუნებთ. მემარცხენე ორიენტაციის მქონე პარტიებისაგან განსხვავებით, ჩვენ უარს ვამბობთ მეურვეობის მოდელზე გარემოს დაცვის სფეროში. ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებიდან გამომდინარე, რომელიც თავისუფლებასა და პასუხისმგებლობის გრძობაზეა დაფუძნებული, უფრო მისაღები იქნებოდა თუკი გათვითცნობიერებისა და სტიმულირების გზით მივცემთ ადამიანს საკუთარი ბუნებრივი საცხოვრებელი პირობების დაცვაზე ზრუნვის საშუალებას.

ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებები არის ის კომპასი, რომელიც ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება. თუმცა ყველა კითხვა სათანადო პასუხს საჭიროებს. ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებებზე დაყრდნობით კი ძალზე იშვიათადაა შესაძლებელი კონკრეტული პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა. რალა თქმა უნდა, ქრისტიან-დემოკრატიული მრწამსის პარტიები არ უნდა მოიაზრებოდნენ ეკლესიის დანართად.

ამასთან, ბუნებრივად იბადება კითხვა თუ ეკლესიის რომელი მოსაზრებებია ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი არასოდეს ყოფილა კათოლიკური ეკლესიის პარტია. სწორედ ეს განასხვავებს მას კათოლიკური „ცენტრისგან“, რომელიც კაიზერის რაიხსა და ვაიმარის რესპუბლიკაში მოქმედებდა. ჩვენი პარტიის ისტორიული დანიშნულება რელიგიის საზღვრებს გარეთა საინტეგრაციო ძალაშია. ჩვენთვის დღესდღეობით გერმანიის ორივე დიდი ეკლესია უმნიშვნელოვანეს პარტნიორს წარმოადგენს. კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს როგორც ძირითად თეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, ისე მთელ რიგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის თემებზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მაგალითისთვის შეიძლება, მოვიყვანოთ მეცნიერული მიზნებისთვის ემბრიონალური უჯრედების გამოყენების შესახებ დისკუსია მოვიყვანოთ. კათოლიკური ეკლესია ეწინააღმდეგება მსგავსი ტიპის სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, პროტესტანტული ეკლესიის რიგებში კი ამის მომხრეებიც აღმოჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც. კათოლიკურ ეკლესიასაც გაუძარტავს მწვავე დისკუსიები ისეთი სახის მნიშვნელოვან ეთიკურ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, აბორტის საწინააღმდეგო კონსულტაციებში მონაწილეობა,<sup>5</sup> ან გერმანულ ეპისკოპოსებს შორის არსებული დავა რომის პაპის 1968 წლის გზავნილთან დაკავშირებით. ეს ყოველივე ცხადყოფს თუ თავად ეკლესიებისთვისაც კი რაოდენ რთულია ერთიანი პოზიციის გამონახვა. ამასთან, კათოლიკური ეკლესია, მისი ვალდებულებითი ხასიათის დოქტრინის გამო, პოლიტიკისგან უკიდურესად განსხვავდება, რადგან პოლიტიკაში განსხვავებული ინტერესების დაბალანსების გზაზე ყოველთვის ხდება კომპრომისების მოძიება. თუმცა აღნიშნულ სხვაობაზე უფრო მნიშვნელოვანია ქრისტიანული ეკლესიებსა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ პოლიტიკას შორის არსებული თანხვედრა: მყარი ფასეულობების საფუძველზე საკუთარი პოზიციებისთვის მუდმივი ბრძოლა

მსგავსად ეკლესიისა, რომელიც საკუთარ პოზიციებს რწმენის საფუძველზე აყალიბებს, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიც ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებების

<sup>5</sup> გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, ორსულ ქალებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ აბორტის გაკეთება, მათ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მიზნით, კონსულტაცია უნდა ჩაუტარდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ მათ აბორტის გაკეთების უფლება.

საფუძველზე ეძებს დასმულ კითხვებზე პოლიტიკურ პასუხებს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩვენი პასუხები განსხვავდება გერმანიის ერთ-ერთი ან ორივე მსხვილი ეკლესიის პოზიციისგან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მოსაზრებებს მაინც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ და სხვაპარტიებისგანაც სწორედ ეს განგვასხვავებს. ამასთან, ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ეკლესიას ბევრ საკითხში აქვთ თანხვედრა. ასე მაგალითად, საღვთისმამის, **დღესდღეობით ვცდილობთ**, სხვა პარტიების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ეკლესიებთან ერთად ისეთი ნორმის შემუშავებას ვცდილობთ, რომელიც გვიანი აბორტის წარმოუდგენლად მაღალ მაჩვენებელს მოაწესრიგებს და შეამცირებს. აბორტის შესახებ დღეს არსებული კანონმდებლობა ნამდვილად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, რაც ორსულობის შეწყვეტის მაღალი წლიური მაჩვენებლითაც – 120 000 – დასტურდება.

ეკლესიათა ინიციატივით, გერმანიაში რელიგიურ უმცირესობათა იმ წარმომადგენლების, უპირველესად ქრისტიანების მიღება გასურს, რომლებიც ერაყიდან გამოდევნეს. მთელ მსოფლიოში დევნილი ქრისტიანების ბედი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან და სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რომლის ფარგლებში ეკლესიებიც სრულ ნდობას გვიცხადებენ. ეს გახლავთ საკითხი, რომელსაც ჩვენ სხვებისაგან განსხვავებით, არასოდეს გავუზიარებთ.

სხვა შემთხვევებში ერთ-ერთი ან ორივე ეკლესიისგან განსხვავებული პოზიცია გვაქვს, თუმცა ეკლესიის წარმომადგენელთა აზრს ყოველთვის დიდი ყურადღებით ვეკიდებით. ამის ნათელი მაგალითია ადამიანის ემბრიონალური უჯრედების იმპორტთან დაკავშირებული დისკუსია. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ კათოლიკური ეკლესიის პროტესტს აღნიშნული საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამ საკითხის ირგვლივ გამართული დისკუსიისა და კენჭისყრის დროს, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის უმრავლესობის მსგავსად, პირადად მეც სხვა მოსაზრება მქონდა. თუმცა, იმავდროულად, სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ, ყველანაირი არგუმენტის საფუძველიანი შემოწმებისა და გააზრების გარეშე, იმპორტის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებისთვის მხარი ჩვენი ფრაქციის არც ერთ კოლეგას არ დაუჭერია. ბევრი პარლამენტარი შეუერთდა კათოლიკე ეპისკოპოსების სულისკვეთებას, სხვებმა კი პროტესტანტული საეკლესიო სამსახურის თავმჯდომარის, ეპისკოპოს ვოლფგანგ ჰუბერის პოზიცია გაიზიარეს. იყვნენ ისეთებიც, ვინც ეთიკის ეროვნული საბჭოს პოზიციას დაეთანხმა. თუმცა ყოველმა მათგანმა ილო ყურად ეკლესიის აზრი. და არავის დაუწამებია ცილი ეკლესიის რომელიმე წარმომადგენლისთვის. რამეთუ ეკლესიასთან დიალოგს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ეკლესიის მხრიდან კვლავინდებურად მზად იქნება მსგავსი ინტენსიური დიალოგის გასამართად, რაც გასული ათწლეულების განმავლობაში წარმატებული თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენდა. დიდი მადლიერებით გვსურს გავიხსენოთ ის სასულიერო პირები, რომლებიც ყოველთვის ძალიან აქტიურად გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ არა მარტო ბევრი ჯერ კიდევ ცოცხალი ღირსეული სასულიერო პირი, არამედ ისეთი დიდი პიროვნებებიც, როგორებიცაა კიოლნის ეპისკოპოსები ფრინგსი და ჰოფნერი, რომლებსაც ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ სასულიერო წრეებში და რომელთა რჩევებსაც პოლიტიკურ წრეებშიც ითვალისწინებდნენ.

ამასთან პოლიტიკის მდგომარეობაც უნდა გვესმოდეს. ჩვენი ამოცანა ხომ ისეთი პრობლემური საკითხების გადაჭრაა, რომლებიც მილიონობით ადამიანის ბედს ეხება. შესაძლებელზე ორიენტირების გარეშე საუკეთესო შემთხვევაში ვერაფერს, ხოლო უარეს შემთხვევაში კი – სასურველი შედეგის საწინააღმდეგო ეფექტსაც მივიღებთ. ამასთან, ხშირად სწორედ დიდი კოალიციის პირობებშია ჩვენი შესაძლებლობები ვიწრო ჩარჩოებში მოქცეული. მიუხედავად ამისა, მართებული გზიდან არასოდეს გადაგვიხვევია. ასე რომ ორივე ფაქტორი ადამიანის შესახებ ქრისტიანობის შეხედულებების გამოხატულებაა და ორივე ერთნაირად გვმართავს და გვხელმძღვანელობს. ეს ასე იყო, არის და იქნება მომავალშიც. (ბიძო, ბოლოს ტვინი ისე ამერია, რომ ვეღარ მივხვდი, რა ორ ფაქტორზე ლაპარაკობ, ასე რომ, ეს აბზაცი განსკუთრებით ყურადღებით ჩაიკითხე, რამე სისულელე არ მქონდეს ჩაწერილი – ვაჟა).

*ფოლკერ კაუდერი - გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული/ქრისტიან-სოციალური საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე*